საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003933

„28“ მაისი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I შს N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „[illegible]“ (415400290608)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

იურ. მის: ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N2ვ ბინა N17; დირექტორი [redacted]; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 8 ივლისის N1891/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ N003933 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ № 003933 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის შენიშვნის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე-მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კოხუაშვილი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოხუაშვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 28 მაისის №003933 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 28 ივნისის №DES42300000225 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტ სოფ. მარტყოფში განთავსებული, შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ალუმინის, სპილენძის და თუთიის სხმულების წარმოება) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანების მე-5 პუნქტის შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე კომპანიამ არ უზრუნველყო მტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი მტვრის შემდგომი მართვის საკითხების, მათ შორის მტვრის კვლავწარმოებაში გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
2. 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანების მე-7 პუნქტის შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე შპს „ლეგომეტალმა“ არ უზრუნველყო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპისთვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის ყველა წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), დამატებით გათვალისწინებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე და 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილებისა და სიხშირის მითითებით);
3. კომპანიას არ გააჩნია, გარემოზე ზემოქმედების ანგარიშით გათვალისწინებული, საწარმოს დროებით შეჩერებასთან ან შეკეთებასთან დაკავშირებით შემუშავებული ოპერატიული გეგმა, რომელიც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებულ პირთან;

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 18 აგვისტოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, შესაბამისად, შპს „ლეგომეტალის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081220 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 25 სექტემბრის №4-562-23 დადგენილებით, შპს „ლეგომეტალი“ სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 5 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

2024 წლის 28 მაისის №003933 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ლეგომეტალის“ მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 28 მაისის №003933 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 28 მაისის №003933 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ლეგომეტალი“-ს (ს/კ 400290608) კუთვნილი, ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ალუმინის, სპილენძის და თუთიის სხმულების წარმოება), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „ლეგომეტალი “**ვალდებულია**:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 27 დეკემბრის №21/11501 წერილში მოყვანილი საკითხების გათვალისწინებით, მტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი მტვრის შემდგომი მართვის საკითხების, მათ შორის მტვრის კვლავწარმოებაში გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი **გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი);**
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 27 დეკემბრის №21/11343 წერილში მოყვანილი საკითხების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპისთვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, სადაც გაფრქვევის ყველა წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), დამატებით გათვალისწინებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე და 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილებისა და სიხშირის მითითებით), (2022 წლის 8 ივლისის №189/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი **გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი).**